



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/615

20 / მაისი / 2019 წ.



KA000022347237819

ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N595823) შედეგების გაუქმების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO-ს (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2019 წლის 30 აპრილის, N04/521 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO-ს (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონუმბის N CV0133161) პრივატიზებასთან დაკავშირებით.

ელექტრონული აუქციონი ჩატარდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge, ლოტის N 595823), რომელშიც მის მიერ შემოთავაზებული თანხის 3496.00 (სამი ათას ოთხასოთხმოდრათეფსმეტი) ლარის საფუძველზე გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა ალმისტერი ნემსაძემ (პირადი N42001001525), მისამართი: ქალაქი ფოთი, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა N 129, რომელზეც 2019 წლის 16 მაისს გაიცა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N20.

ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა ან/და აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შექენილი ქონების სრული ღირებულება.

ამასთან, აუქციონში გამარჯვებულს აუქციონში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (captainpoti@yahoo.com) გაეგზავნა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N20.

აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი ალმისტერი ნემსაძე (პირადი N42001001525), 2019 წლის 17 მაისის განცხადებით უარს აცხადებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე ამდენად, უნდა გაუქმდეს ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N595823) შედეგები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. გაუქმდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge) ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N595823) შედეგები.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნდეს სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონუმბის N CV0133161), ფიზიკური პირი ალმისტერი ნემსაძე არ გაიცეს საკუთრების უფლების მონუმბა და მის მიერ გადახდილი „ბე“ 184.00 (ასოთხმოდრათხი) ლარი სრულად ჩაირიცხოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე (poti.gov.ge) გამოაქვეყნოს წინამდებარე ბრძანების პირველ და მეორე მუხლში აღნიშნული ინფორმაცია.

მუხლი 4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერა/
შტამპდასმულია
ელემენტროსად



გონა კურდღელია